ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

ოქმი:ო97. 9723312001
თარიღი:08/11/2023

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

რიგგარეშე სხდომა

დ. ლენტეხი. 3 / ნოემბერი/2023წ.

მიმდინარე წლის 3 ნოემბერს დღის 12 საათზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა. სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 15 (თხუთმეტი) წევრი. სხდომას უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი გაზდელიანი.

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: მერის მოადგილე ზვიად ლობჟანიძე და მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო სამსახურის საბიუჯეტო განყოფილების უფროსი გულივერ გაზდელიანი.

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის (აპარატის) ხელმძღვანელი მაყვალა ჩანქსელიანი.

სხდომის თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა სხდომის წევრებს გააცნო რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. ,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის N-23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს: მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი ტახუ ჩანქსელიანი/

/თანამომხს: საკრებულოს საფინასო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე

ლამზირა გუგავა/

ღია კენჭისყრის შედეგით: მომხრე -15

წინააღმდეგი -0

დაადგინეს: დამტკიცდეს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს: მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო სამსახურის საბიუჯეტო განყოფილების უფროსმა გულივერ გაზდელიანმა სხდომის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი - ,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის N-23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა განმარტა ის გარემოებები, რის გამოც აუცილებელი გახდა ბიუჯეტში ცვლილების შეტანა:

1. გაიზარდა ბიუჯეტში დღგ-63500(სამოცდასამი ათას ხუთასი) ლარით;

2. ქონება შემოვიდა გადაჭარბებით 25940(ოცდახუთი ათას ცხრაასორმოცი)ლარი.

ამ ორი მუხლის ჯამი შეადგენს 89440 (ოთხმოცდაცხრა ათას ოთხას ორმოც) ლარს . ეს თანხა ასახული იქნა შემოსავლების მუხლში და გადანაწილდა ხარჯებში შემდეგის მიხედვით:

1. საბიბლიოთეკო გაერთიანება 5700(ხუთი ათას შვიდასი) ლარი;

2. ჯ. მეშველიანის სახელობის კულტურის სახლი - 5150 (ხუთი ათას ასორმოცდაათი)ლარი;

3. ა(ა)ი.პ.გარემოს დაცვა - 15000 (თხუთმეტი ათასი)ლარი;

4. ა(ა)ი.პირის ტურიზმის განვითარება - 16000 (თექვსმეტი ათასი) ლარი;

5. ა(ა)ი.პ. თემები - 19205(ცხრამეტი ათას ორას ხუთი)ლარი;

6. სოფლის მეურნეობა - 6270 (ექვსი ათას ორას სამოცდაათი) ლარი;

7. ა(ა)ი.პ მუზეუმი - 3200(სამი ათას ორასი) ლარი;

8. ა(ა)ი.პ სასპორტო გაერთიანება - 600 (ექვსასი) ლარი;

9. გზები და ხიდების მუხლში - 18 315 (თვრამეტი ათას სამასთხუთმეტი) ლარი.

სულ: 89440 (ოთხმოცდაცხრა ათას ოთხას ორმოცი) ლარი.

კითხვა დასვა: სხდომის თავმჯდომარემ - მიმდინარე წელს გზებში და ხიდებში ჩადებული თანხა ჯამში რამდენი გამოდის?

პასუხად საბიუჯეტო განყოფილების გამგემ აღნიშნა, რომ მიმდინარე წელს გზებში და ხიდებში ჩადებული თანხა ჯამში შეადსგენს 45000ლარს.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა აღნიშნა, რომ ტენდერში გამარჯვებულ კომპანიას აუცილებლად უნდა ჰყავდეს რამდენიმე ერთეული ტექნიკა, რომ შეფერხება არ მოგვეცეს მოსახლეობასთან.

ააზრი გამოთქვა: მერის მოადგილემ ზვიად ლობჟანიძემ, რომ მერის უპირობო მიდგომა ასეთია ამ საკითხთან, რომ გამარჯვებულ კომპანიას აუცილებლად უნდა ყავდეს 5(ხუთი) ერთეული ტექნიკა მაინც, ან მიეცემა ხელშეკრულების გაფორმების უფლება.

კითხვა დასვა: საფინანსო კომისიის თავმჯდომარემ ლამზირა გუგავამ - ბაგა-ბაღებს თუ ყოფნით თანხა?

პასუხად საბიუჯეტო განყოფილების უფროსმა აღნიშნა, რომ ბაგა-ბაღებს ყოფნით თანხა და არ აქვთ პრობლემა ამ კუთხით.

სხდომის თავმჯდომარემ წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტი დააყენა კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე -15

წინააღმდეგი -0

დაადგინეს: შევიდეს ცვლილება ,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის N-23 დადგენილებაში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა აღნიშნა, რომ 15 ნოემბერს საკრებულოში უნდა შემოვიდეს 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი. ამ პროექტს უნდა მიებას პრიორიტეტების დოკუნენტი, რომელიც მომზადდა მოსახლეობასთან შეხვედრების საფუძველზე. სანამ ეს დოკუმენტი საბოლოო სახეს მიიღებს ადგილობრივმა ხელმძღვანელობამ, რწმუნებულებმა და კურატორებმა ვიმსჯელოთ ამ საკითხზე და დოკუმენტი ჩამოვაყალიბოთ უხარვეზოდ. ეს შეხვედრა შეგვიძლია მოვაწყოთ 15 ნოემბრამდე ნებისმიერ დღეს.

მან ხაზი გაუსვა მოსახლეობასთან შეხვედრების დროს გამოკვეთილ სხვადასხვა პრობლემებს და აღნიშნა, რომ ადგილობრივი ხელმძრანელობის ერთობლივი მჯელობის და შეთანხმებული მოქმედების შედეგად უნდა დაისახოს ამ პრობლემების მოგვარების გზები.

მერის მოადგილემ ზვიად ლობჟანიზემ მერიის მხრიდან გამოთქვა მზაობა ამ შეხვედრისთვის.

სხდომა დამთავრდა დღის 13 საათსა და 20 წუთზე.

გიორგი გაზდელიანი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი